

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
შავე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვცხვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 3

1883—1900


15 თებერვალი

საზოგადოების ერთსულოვანი და ერთგულოვანი საქმის ხელის მოკიდება უფალა დაბრკოლებას დასაძლავს და საქმეს დააბვირავინებს.

როცა საზოგადოებაში ერთსულობა და ერთგულობა არ არსებობს, ნურავინ დაკარგუნებს, რომ ასეთ საზოგადოებაში გაკეთდეს რამე. ერთი, ორი და სამიც რომ ბევრს აკეთებდეს, თუ ოცი და ორმოცი წინააღმდეგად იქცევა და იღვწის, არ დაიჯეროთ, რომ საზოგადო საქმე გაკეთდეს და კეთილად წარემართოს. ეს ისე თვალსაჩინოა ეკლესასთვის, რომ ამის დასამტკიცებლად ბევრი საბუთები არ არის საჭირო. გადავალეთ თვალი

რომელიმე სასელმწიფოის, თემის, საზოგადოების და თუ გინდ ერთი რომელიმე ოჯახის ცხოვრების არეგ-დარევის და დაცემის ისტორიას და თქვენ ცხადთ დარწმუნდებით, რომ ამ სასელმწიფოის, საზოგადოების და ოჯახის წევრთა შორის არ სუფევდა ერთსულობა, ერთგულობა და ძმური სიყვარული.

ჩვენდა საუბედუროდ ეს სამწუხარო მოვლენა ისე არსად არ ვოფილა შექმნული, როგორც ჩვენს კურთხეულ საქართველოში და ეს იყო კიდევ ჩვენი ქვეყნის დაცემას, ჩვენი ხალხის წევვა-გლეჯის და ისე ხშირად მტერთა შემოსევისა და ჩვენი აზხრების მიზეზი. ერთი მხა რომ ქვეყნისთვის თავს



დებდა და მხად იყო სიცოცხლე შეეწირა, მეორე სწარსეთისკენ ვარბოდა და სწარსეთის ხელმოწყვეს თაყვანს სცემდა და მის შემწეობას თხოვლობდა თავისი მოძმის საწინააღმდეგოდ და დასამხოზად. როცა საჭირო იყო ერთობა ხალხისა მტრის საწინააღმდეგოდ, მაშინ არსდებოდენ მრავალი სამთავროები და თვითეული მათგანი თავის თავზე შრუნავდა და სხვა სამთავროებში ქვა-ქვასედაც რომ არ დაჩენილიყო, სრულებით არ დაეკებდა... აი, ამისთანა მოქმედებით კიდევ მომიქვს მათ შესაბამი ნაყოფი!...

ამის შემხედვარე ჩვენი სასოკადოება და განსაკუთრებით ჩვენი სამღვდლოება ეველანზე უფრო მიმხედარი უნდა იყოს, თუ რამდენად საჭიროა დღეს მათთვის ერთობილი, მძური სამსახური მათ სამწესოთა ხორციელად კეთილდღეობითი ცხოვრებისათვის და სულიერად ცხოვრებისათვის. ჩვენი სამღვდლოება, ქრისტეს მცნებისაგებ, უნდა შეადგენდეს ერთ ოჯახს, ქრისტიანობრივი სიყვარულით ერთად დაეკვირებულს. ერთი მწვემის სიხარული და მწუხარება ეველა მის მომქეთათვის სიხარულს და მწუხარებას უნდა შეადგენდეს. ერთი მწვემის წარმატება მის სამწესოს სარბიელზე ეველანთვის სასიხარულო და სასიქადულო უნდა იყოს, ჩვენ უნდა ვამღვედეთ ჰირველ მავალითს საერო წოდებას მძურად და სიყვარულობით საქმის ხელის მოკიდებაში, მგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ კიდევ ვერ მივსულვართ ჯერეთ ექნობამდისინ, რომ ზოგიერთ საერო წოდებისათვის მივუბაძა ამ შემთხვევაში. არსდებიან სხვა-და-სხვა დასები, რომელთაც შესამჩნევად მიჭევთ საქმე და ერთხელვე აღჩეულ მისნისადმი მისწრაფიან ბეჯითად. ჩვენ

კი, სამღვდლოება, რომლის მისანი ასე დიადი და საბატოცა, ვცხოვრებთ და ვმსახურებთ განკერძოებულად. სრულებით საინტერესოდ არ მივანჩია ჩვენ მომქეთა სამსახური მეორე ენარქიაში... შეიძლება ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ კეთილი და უკეთური სამსახური მისი მოძმისა სხვა ენარქიაში მის სრულებით არ შეეხება და არც საჭიროა ცოდვებს რამე მათზე. ვინც ასე ჰფიქრობს, დიდი შემცდარია. ამ შემთხვევაში ფრანკების სამღვდლოებას მღიერ ჩამორჩენილი ვართ ჩვენ. ისინი ეოველს შემთხვევაში ცდილობენ, რომ ერთი ერთმანეთის ჭირი და სიხარული შეიტყონ, დაეხმარონ ერთი ერთმანეთს და სიტყვისამებრ წმ. მოციქულის თავინათ მომქეთა ტვირთი იტვირთონ, მათში ერთის შესამჩნევად და სასარგებლო სამსახურით მეორეს თავი მამწონს, ერთის შესამჩნევად მქადაგებულთ მეორეს თავი მოაქვს, ერთის ქველის საქმით მეორე თავს იწონებს, თუ რამე ორგანო დაარსდა, ეველა იღებს მონაწილეობას, ეველა იღებს წვლილს მისი ხანგრძლივი არსებობისათვის, არა თუ მარტო თვითონ იღებს მონაწილეობას, არამედ ავრცელებს ხალხში, რადგან დარწმუნებულია, რომ ხალხში გავრცელება ამისთანა ორგანოებისა დიდათ ხელს შეუწყობს ხალხისა და სამღვდლოების ერთმანეთ მორის დაახლოების და სარწმუნოების და ხეობრივი სწავლის ამადლების და გავრცელების საქმეში.

ჩვენი რაღას ვხედავთ? ჩვენდა სამწუხაროდ, სულ სხვას, არა სასიამოვნოს. ჩამოთვლა საჭირო არ არის. ავიღოთ თუ გინდ ერთადერთი დედა-ენაზე არსებული ჩვენი ორგანო


«მწუქესი». ჩვენ არ შეგვიძლია არ გამო-  
უცხადოთ გულითადი მადლობა ჩვენი ჟურ-  
ნალის „მწუქესი“-ს მკითხველებს და ნიდავ  
თითქმის ხელას მომწერთ იმ ნიდავ თანაგრ-  
მნობისა და ზნეობრივი დახმარებისათვის,  
რომელსაც იგინი ჩვენ გვიჩვენებთ თითქმის  
ჟურნალის დაარსებიდან. იგინი ერთად ჩვენთან  
ხარობენ და მწუხარობენ ამა თუ იმ სასიხა-  
რულო და სამწუხარო მოვლენათა გამო. მაგ-  
რამ, ჩვენა და სამწუხაროდ, ეველა სამღვდელო-  
ება ერთად არ იღებს მონაწილეობას და ერთად  
არ თანამოაზრობს. ჩვენი მხრით ყოველივე  
ღონე ვინმარეთ, რომ ჩვენ გამოცემათა გამო-  
წერინება შეგვეძლებინებია ღარიბთათვისაც.  
მაგრამ ვრწმუნდებით თან და თან, რომ მრავალს  
ჟურნალის გამოწერას უძლიან არა ნი-  
თიერი სიღარიბე, არამედ გონებითი სიდატაკე,  
უკანასკნელ წერტილზე გაჩერება კონებითი  
განვითარებისა. ერთის კონება რომ ასე დამა-  
ბუნებულა და დამდაბლებულა, მეორესი მალა-  
ლის სწავლით იქამდისინ მისულა, რომ თა-  
ვიანთ მომქეთ, საშუალო და ძდაბალი  
სწავლის მიძებთ, აღარაფრად აღარ რაცის და  
მის მომქობას სასირცხლოთ იმჩნევს. სოკი-  
ერთები-კი არა თუ ცდილობენ, რომ ხალხში  
გააგრძელონ სასულიერო გამოცემანი, ან თვი-  
თონ გამოიწერონ, არამედ ყოველ ღონეს  
ხმარობენ სხვა ზირთაც მოუშალონ  
ჟურნალის გამოწერა. ერის კაცებს ეუბნებიან,  
რომ ძღვდლის გარდა ერის კაცს არ შეუძლია  
სასულიერო ჟურნალის გამოწერა!.. დიად,  
ასეთ დროში და ასეთ საზოგადოებაში ვსცხოვ-  
რებთ ყველანი და რა აუტანელი დრო უნდა  
იქოს, ეს ცხადია ყველასათვის...

სიტყვამ მოიტანა და ამისათვის გა-  
ჯახსენებთ ჩვენ მკითხველებს ზირველადვე  
გამოთქმულს ჩვენს სიტყვებს. „ჩვენი მხრით  
არ დავსოგავთ არც გონებას, არც ქონებას და  
არც ცხოვრებას ჟურნალის კეთილად წარმატე-  
ბისათვისა. ეს იყო გამოთქმული ჩვენგან 1  
ოქტომბერს 1883 წ. რამდენად მტკიცედ ვასრუ-  
ლებდით, ან დღეს ვასრულებთ ამ ჩვენს სიტყვებს,  
ბაერ 17 წ. განმამავლობაში, ჩვენი მკითხველი  
სასოგადოება კარვად უნდა შედევდეს, მაგრამ  
სავსებით რომ გაიგოს ყველაფერი, იგი უნდა  
მოვიდეს და რედაქციის შინაური ისტორია  
შეიტყოს; უამისოდ არავის არ შეუძლია გაი-  
გოს ის დაბრკოლებანი, რომელნიც ბეჭდვითი  
სიტყვას საზოგადოდ წინ ეღობება და განსა-  
კუთრებით ჩვენს ორგანოს. არ დაგვკლებია  
ჭირი და ურვა შინაურთა და გარეულთაგან,  
ნაცსობთა და უცნობთაგან, მტერთა და მოყვა-  
რთაგან, არც თავიანთ მომქეთაგან, მაგრამ,  
მადლობა ღმერთს, ჩვენი ორგანო შეუბრკო-  
ლებლად მიმდინარეობს ბაერ მეხვიდმეტე წელია  
იმ ზატეცემულ ხელის მომწერთა თანაგრძრო-  
ბით, რომელთაც თავიდაცნვე თითქმის საჭირო  
და სავალდებულო საკითხავად გაუსდიათ  
იგი...

შეიძლება, რომელიმე კონებით დაწლუნ-  
კებულმა ზირმა იუადროს თქმა: და რა სარ-  
კებლობა მოუტანა საზოგადოებას ამ ორგანო-  
მო? ამისთანა მოაზრე ზირებს აი რა უნდა  
უთხრათ ჩვენ. არასოდეს არ ეოფილა, რომ დღეს

დათესილი თესლისგან სხვალ ნაყოფი მიეღოს მთესველს. არც ის მომხდარა არასოდეს, რომ უოველ მარცვალს მოსალოდნელი ნაყოფი ვამოედოს, რადგან ვეველ თესლი, თესვის დროს, კეთილ ნიადაგს ვერა ქმობებს... მაგრამ გერწამს და ვკვებრა, რომ „მწევემსი“-საგან მრავალი დათესილი თესლი ნაყოფს მოიტანს. ეს ნაყოფი ერთი ორად მეტი იქნება, თუ ჩვენი მკითხველი საზოგადოება დავევხმარება ამ ქურნალის ვავრცელებამი ბრა მარტო სამეფელოებსა, არამედ საერთო წოდებაშიაც, სამწესოთა შორის. დღეს ჩვენი საზოგადოება სრულებით მოკლებულია სწეობრივი შინაარსის დროკამოცემიიი საკითხავს. ცხადი და ბქანრა, რომ ჩვენი ესლანდელი საზოგადოება რამოდენად სწავლით და გონებრივი განვითარებით წინ ბიჯ ვადადგებულია, იმოღენად სარწმუნოების დქრისტიანობრივ სწავლა-მეცნიერებაში უგან დასეულია. აი ამ სამწესარო მოვლენას უნდა მივუქციოთ ვეველამ ჩვენი უურადღება და ერთგულობით და ერთსულობით ვეცადოთ ჩვენს საზოგადოებაში რელიგიური და ქრისტიანობრივი სწავლა-მეცნიერების ამაღლებას ბეჭდვითი სიტყვით. სავალდებულოდ მივგანინა სწეობრივი დასმარება და შექმეობა ესთხოვოთ ვეველას ერთად-ერთი დება ენაზე არსებული ჩვენი სასულიერო ქურნალის ვავრცელების საქმეში.

რ.დ. დ.კ. დ. დამბაშიძე.



რა დასმარება საჭირო ციმბირისკენ ვარდა-სვეწილ ქართველთათვის?

(წერილი ქ. საბარკეიდან).

აღამიანს ყველგან და ყოველთვის შეუძლია კეთილი საქმის ჩადენა და თავისი ვაქირვებული მოქმის დასმარება, თუ კი სურვილი აქვს. ძეური დასმარება ყველგან და ყველასათვის საჭიროა, მაგრამ ასეთი დასმარება ერთი ასად საჭიროა ციმბირში მცხოვრებ ქართველთათვის. საწყლებს სახლ-კარი, ცოლ-შვილი და მამული მიუტოვებიათ და უგზო-უკვლოდ დაეხეტებიან უცხო ქვეყანაში. იმათ რა უშავსთ კიდეც, რომელთაც სახალინაში სასჯელი შესარულეს, ციმბირში მოვიდნენ და რაიმე საქმე გამოიჩინეს. დღეს ციმბირში მცხოვრებ ქართველებმა კარგად ვიცით უნუგეშო მდგომარება ჩვენი თანამომეების სახალინაში, სადაც ეს უბედურნი სიცოცხლეს ლევენ, ითმენენ შიმშილს, სიცივეს და მრავალ, ვნით გამოუთქმელ, ვაქირვებას. თითოეული მათგანი სიხარულით მოვლის იმ დროს, როცა სასჯელს შესარულეს იგი და ციმბირისაკენ ვამეგურება. მაგრამ რავარად მოახწიოს ციმბირში შიშველმა და შიშვირმა? ხედავ, სახალინიდან მოდის ჩვენი თანამომე მთლად ტიტველ-შიშველი და შიმშილისაგან მოქანცული. საწყლები დავეტებიან ვარეულ ხლობით და არ იციან, რა ქნან. პოლიციაც ასეთ პირთ სასტიკ ყურადღებას აქცევს, და თუ რამე შეამჩნია მათ, ისევ სახალინაში აბრუნებენ და მეორეთ იქიდან ციმბირში მობრუნება შეუძლებელი ხდება. ყოველ ამ სამწუხარო სურათს აღზინად უცქვრიო ციმბირში დაბინავებული ქართველები და არ გვინდა, შეძლებისდაგვარად, დასმარება აღმოუჩინოთ ამ საწყლებს და ხშირად კიდეც დავეცინოთ ამ უბედურთ, როცა რაიმე ცული საქმის ჩადენისათვის მათ პოლიცია ისევ სახალინისაკენ მიერეკება. რატომ ვაგვიქვავდა ასე გული? რატომ არ წარმოვიდგენთ,



რომ ასეთ პირთ უსათუოდ რაიმე უზედურება მწე-  
ვათ. რა ქმნან საწყლებმა უცხო ქალაქში უბინაოთ  
და უფულოთ, შიშველ-ტიტვლებმა. არ გვიდა მათ  
შემწეობის ხელი გაუწოდოთ და სხვა ვინ შეიბრა-  
ლებს მათ? ვინ შეუშვებს მათ სახლში? ასეთ მდგო-  
მარობაში მყოფ კაცს ყოველი სისაძაღლის ჩადენა  
შეუძლია. თორემ საწყლები თვითონაც ცდილობენ,  
რომ ცუდ საქმეს ამორდნენ. ამიტომ ჩვენი მოვა-  
ლეობა ასეთ პირთ შემწეობა აღმოუჩინოთ, რომ  
ციმბირში ფეხი მოაკიდონ და რაიმე საქმე იშოვონ.  
ასეთ დახმარებას თუ ამოუჩენთ მათ, ისინი აცდ-  
ვიან ცუდ საქმეს. ციმბირში ფეხმოკიდებულ ქართ-  
ველებს შეგვიძლია შევკრიბოთ ფული, დავიქარაოთ  
ერთი სახლი, რომ აქ ბინა ექნესთ ახლად მო-  
სულთ. თითო ჩვენგანს ათი და თუთხმეტი ხელი  
ტანთსაცემელი გვექნება და რა იქნება, რომ აქედ-  
გან თითო ხელი ახლად მოსულ შიშველ-ტიტველ  
ქართველებს მივსცეთ. აგრეთვე შეგვიძლია ჩვენ,  
რომ ჩვენ ნაცნობებს ურჩიოთ ამ ახლად მოსულე-  
ბის მოსამსახურედ დაყენება, და ზოგნიც ჩვენ და-  
ვიყენოთ. ამით ჩვენ იმ უზედურთ ავაცდენთ მეო-  
რედ სასჯელში ჩაუარდნას. იმედია ამ საქმეში დახ-  
მარებას აღმომიჩენენ ყველა ჩვენი ქართველები,  
ციმბირში მცხოვრებნი. შეგვიძლია ამ მიზნით პატა-  
რა საზოგადოება დავაარსოთ. ყოველივე ეს შესაძ-  
ლებელია, თუ მოვიწოდებთ.

ვარლამ ალ. შალამბერაძე.



**წერილი რედაქციასადმი ციმბირში გადასვწი-  
ლისაგან.**

მამაო რედაქტორაო! ავერ ხუთი წელი სრუ-  
დდებდა, რაც მე ქუთაისის სატუსაღაოდგან ციმ-  
ბირს გამომაგზავნეს, რასაკვირველია, დამნაშაო-  
ბისათვის. მას აქეთ ციმბირში რაიმე ქართული  
გაზეთ-ჟურნალი არ მინახავს.

მე დასჯილი კაცი ვარ, არა თუ სასულიერო  
რო წოდება, დღეს დღობით გლეხის წოდებ-  
ბაც სანატრელი მაქვს. გულისთ მსურს რომე-  
ლიმე ქართულ ქურნალ-გაზეთის კითხვა, რომ  
შვიტყო ჩემი სამშობლოს ამბები. დღეს დღობ-  
ბით მსურს გამოვიწერო თქვენი პატრვცემული  
გაზეთი „მწეემსი“, მაგრამ შეუბნებინა, რომ ამ  
გაზეთის გამოაწერა და კითხვა სასულიერო წო-  
დების პირების გარდა სხვა პირთ არ შეუძლიათო.  
ეს არ მჯერა, და თუ, ჩემდა სამწუხაროდ, ეს  
მართალია, ძლიერ სამწუხარო ყოფილა. ნუ თუ  
დასჯილი კაცს წიგნის და ქურნალის წაკითხვის  
ნებაც აღარ აქვს?

უმორჩილესათ გთხოვთ, თუ წინააღმდეგი  
არ იქმნეს ჩემი თხოვნა, ვითარცა მართლ-მადი-  
დებლის პირას და დადუშულის ქართველის  
მამულის შვილისა, დაკარგათ ერთი ნომერი  
აღნიშნულის თქვენი პატრვცემული გაზეთისა  
ჩემთვის, მასთან მაცნობეთ გაზეთის ფასი. აგრე-  
თვე მაცნობეთ შემდეგი: შეუძლია თუ არა საერო  
პირს ამ გაზეთის გამოაწერა?

ამასთან დავსქენ, რომ დასჯილი, სამშობ-  
ლოს მომორებული კაცი, დიდი მწეურვადე  
ვარ, რათა ეს გაზეთი მივიღო ციმბირში მთელ  
მომავალს 1900 წლის განმავლობაში, რომ  
მთლად არ დამავიწყდეს ქართული ენა.\*

უმორჩილესი მთხოვნელი ბქნ ნიკოს ძე  
უგრეხელიძე.

\*) დიდის სამოვნებით გიგზავნით „მწეემსი“  
უფასოთ 1900 წელში და გთხოვთ, რომ ეს გა-  
ზეთი სხვასაც გაუზიაროთ. ქურნალი „მწეემსი“  
ყველას საკითხავია, მაგრამ ჩვენი ხადეხი კიდეც  
ბნეფით არის მოცული და არ იცის, რა იკით-  
ხოს და რა არა. იმ ხმებს, რომ „მწეემსი“-ს  
კითხვა მდვდლის გარდა სხვას არავის შეუძლიაო,  
ბოროტი ენები ავრცელებენ. ამ პირთ სრუდე-  
ბით არ ესმისთ კეთილ ზნეობა და კეთადი მი-  
მართულება.

რედ.

### ზოგადი აქრანა-გაწკეთების უაზრო მასაზრ- ბანა.

იმ კომისიამ, რომელიც არჩეულ იქნა წარსულ წლის 27 დეკემბერს საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“-ს გაუმჯობესობისათვის თავის ერთ-ერთ კრებაზე ჟურნალის გასაუმჯობესებლად და საზოგადოებაში გასავრცელებლად გადაწყვიტა: 1) გამოიწეროს საუკეთესო საბავშვო, საყმაწვილო და პედაგოგიური ჟურნალები რუსულს და სხვა ევროპულ ენებზე, რათა ქართველ მწერლებს მისცეს საშუალება თვალი ადევნონ თანამედროვე საბავშვო და საპედაგოგო ლიტერატურას და უფრო შესაბამი ნაწერები მიაწოდონ ჟურნალს. ამ ჟურნალების გამოსაწერად ერთმა კომისიის წევრთაგანმა შემოსწირა ოთხი თუმანი; 2) სასურველია, რომ ჟურნალი იყოს ორი განცალკევებული განყოფილება საბავშვო და საყმაწვილო, რომელთაგან პირველი უნდა იბეჭდებოდეს მსხვილი ასოებით, მეორე—ჩვეულებრივით, 3) ჟურნალს მიეცეს ეროვნული ხასიათი: მასში, სხვათა შორის, ხშირად იბეჭდებოდეს საუკეთესო სახალხო ლექსები, კარგი წინაარსიანი სახალხო ზღაპრები, ლეგენდები და გადმოცემანი, მოთხრობანი საქართველოს ისტორიიდან, გეოგრაფიული აღწერანი სახალხო დღესასწაულებისა და სხვანი; 4) წერილები ბუნების მეტყველებიდან უნდა იწერებოდეს უმთავრესად ადგილობრივი მცენარებისა და ცხოველების შესახებ; 5) იბეჭდებოდეს კლასიკური ნაწარმოებები, საბავშვო შემუშავებულნი და შემდეგ საბავშვოდ გამოიცემოდეს; 6) ჟურნალში უნდა იხმარებოდეს საზოგადო ლიტერატურული ენა და ამასთან ხელუხლებლად უნდა იბეჭდებოდეს ენობილი ქართველი საუკეთესო მწერლების ნაწერები; 7) მოწვეულ იქნენ ყველა ქართველი მწერლები თანამშრომლებად; 8) ჟურნალის გასავრცელებლად საზოგადოებაში კომისიამ იყოლიოს ყველა საქართველოს დაბავში და ქალაქებში საკუთარი აგენტები.

ამ პროგრამის განსახორციელებლად და რედაქტორის მძიმე ტვირთის შესასწავლებლად კომისიამ საჭიროდ დაინახა ერთი თავისი წევრთაგანი, ბ-ნი ილია აღზაზიშვილი, დენიშნა თანარდაქტორად. (წმ. ფურც.)

ეს ამბავი უწებლივდ მოგვაგონებს ენუქას ანდრას... კარგი და პატიოსანი აზრია. ვთქვათ ასრულდა ყველა ეს მოსახრებანი. უნდა იბეჭდებოდეს ჟურნალი და ინახებოდეს რედაქციაში?.. თუ ხელის მომწერი არაინ ვყოლა

ჟურნალს, ვისთვის უნდა იბეჭდებოდეს? დავიჯგროთ, რომ დღემდის „ჯეჯილი“ არც ენა უფარგოდა, არც ეროვნული ხასიათი ჰქონდა, არც ლექსები იყო რიგინი და არც არა იბეჭდებოდარა საინტერესო? არა, ყველაფერი იყო, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებას ბავშვების აღზარდა სრულეზბით სხვანაირად ესმის და სულ სხვანაირად ზრდმათ. ცდილობს, რომ ბავშვებს ენა „გაუტენოს სხვა უტეხო ენით! რათ უნდა მას უფრო დაბეჭდილი ქართული კარგი ლექსები და კარგი სტატიები?.. ძლიერ კარგი იყო, რომ ამ კომისიას იმავლად ეთქვა რამე, თუ რა ღონის ძიება იხმაროს ჩვენი დაძინებული საზოგადოების გაშოთავიძებლად. ეს არის თავი და თავი საგანი ჩვენი აზრით, თორემ ვერც ბ. აღზაზიშვილის და არც სხვისი თანარდაქტორობა საქმეს ვერ დაეხმარება და მკითხველებს ვერ შესძენს „ჯეჯილი“... შეიტყუეთ, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა „მოამბეს“ თანამერედაქტორებმა და ახლამ თანამშრომლებმა!.. რედ.

### აშპარა ცილის-წამება.

ბ-ნი ექიმი ნაზაროვს გამოეგზავნა კაცი ჩვენს სტამბაში და ეთხოვა, რომ საკორექტურო ფურცლები მისის პასუხისა მისთვის გადაეცათ შესასწორებლად, და ამასთან განეცხადებია, რომ ის აღვილი, რომელიც შეეხებოდა მის პასუხში ბ-ნი აკაკი წერეთელს, ჰსურდა გამოერცხა. ასოთამწყობთ სტამბაში პასუხად ვთქვათ, რომ მისი პასუხი უკვე დაბეჭდილია და არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. ამის შემდეგ ბ-ნი ნაზაროვი მიმართავს „ივერიის“ რედაქციას და სთხოვს: ვინაიდან „მწყემსი“-ს რედაქციამ ჩვენი პასუხი არ დაამტკიცა, გთხოვთ თქვენ მიიღეთ და ჩვენი პასუხი დაგვიბეჭდეთ. ეს რომ ასე არ იყო, ამას ერთსადა იმავე ღროს გამოსული № 1-ში „მწყემსი“-სა და „ივერიისა“ ცხადად ამტკიცებენ: („ივერია“-ში დაიბეჭდა 27 და 28 იანვარს, „მწყემსი“-ს 1—2 №-რი გამოვიდა 25 იანვარს). ეს ფაქტი ცხადად და აშკარად ამტკიცებს ექიმის ნაზაროვის ხასიათს და მიმართულებას, და ამის შემდეგ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, თუ რამდენად აღქურვილია იგი ქვეშაობით თავის გამართლებას ღროს. ბეჭდვითი სიტყვით თუ ამას იკადრებს კაცი, რა უნდა იკადროს იმან ქერძო მაასში თავის ნაცნობ—მეგობრებთან?.. მართალია, სიტყვით ხშირად კაცი ახერხებს თავის გამართლებას, მაგრამ საბოლოოდ არ შეიძლება სიტყვით თავისი არ მიეზღოს და სიმართლემ თავი არ იჩინოს... რედ.



# ახალი ამბები და შენიშვნები.

მან.; სულ 31 კ. დესეტინაზე, ესე იგი, 384 ათასი მანეთი.

რუსეთის შიდა გუბერნიებში სახელმწიფო გარდასახად მიწაზე თავად-აზნაურობა იხდის 5 კაპ. დესეტინაზე (ზოგან ნაკლებსაც), ჩვენში კი აპირებენ 7 კაპიციის დაწესებას; საერო გარდასახადი შუათანა აღრიცხვით რუსეთის შიდა გუბერნიებში არის 12 კ. დესეტინაზე, ჩვენში კი განზრახულია 24 კ. დესეტინაზე.

მოჰყავს-რა ყველა ეს ცნობები, მოხსენებ. ამბობს, რომ ამ ყამად ორი სეგანია გამოსარკვევი: 1) თავად-აზნაურობამ უნდა თხოვოს, რომ ეპატორის მის ის 33 ათასი მანეთი ჯარიმა, რომელიც მას დაწვა საერობო გარდასახადის შეტანის დაგვიანების გამო, რადგანაც დაგვიანება იმიტომ მოხდა, რომ ხსენებული გარდასახადი არ იყო წეს-რიგზე გაწერილი და აგრეთვე თავად-აზნაურობას გვიან შეატყობინეს გარდასახადის რაოდენობის ცნობები; 2) უნდა თხოვოს თავად-აზნაურობამ, რომ მას მიეცეს ნება მონაწილეობა მიიღოს ადგილ-მამულების დეფანსაში და გარდასახადის განაწილებაში, რადგანაც მათგანობის მიერ მოხდენილი დეფანსა არ თანხმება სინამდვილეს.

1 მარტს, დილის 11 საათზე, დ. ონში დანიშნულია რაქის თავად-აზნაურობა კრება.

საქართველოს ექსარხოსს უშუამდგომლობა აღუძრავს, სადაც ჯერ არს, იმის შესახებ, რომ საერობო თანხიდან საეკლესიო-სამრევლო სკოლებს იმდენივე შემწეობა ეძლიოს, რამდენიც ეხლა სამინისტრო სკოლებს ეძლევათ. სულ ხსენებულ თანხიდან სამინისტრო სკოლებს ეძლევათ 85,000 მ. მაშინ, როდესაც საეკლესიო-სამრევლო სკოლებს ეძლევათ 12000 მან.

20 იანვარს, მოსკოვ-იაროსლავის რკინის გზის პირველ კლასის ვაგონში ბოროტ-განზრახველი თავს დაესხა მძინარ არტელშიკს, რომელსაც თან ჰქონდა 50 ათასი მანეთი. არტელშიკი დაქრილია, ფულის წაღება ვერ მოუსწვრიათ.

წარსული წლის იმ ხელის მომწერო, რომელიც ლანჩხუთის ფოსტოთი იღებენ „მწყმესს“, ამ ჟურნალის საჩუქრის მიღება შეუძლიათ ლანჩხუთის აფთეჟრის ბ. მხეიძისავან.

31 იანვარს მოხდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა სავანეებო კრება. კრების გახსნის შემდეგ, დილის 11 საათზე, გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალ-მაიორმა ივ. სავინაშვილმა მოახსენა დამსწრეთ, რომ სავანეებო კრებამ უნდა განიხილოს იმ ჯარიმების საქმე, რომელიც თავად-აზნაურობას დაედო საერობო გარდასახადის შეტანის დაგვიანებისა გამო და აგრეთვე საქთხი, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს თავად-აზნაურობა მამულების დეფანსაში. შემდეგ გორის მაზრის თავად-აზნაურობა წინამძღოლმა თავ. გ. ბაგრატიონ-დავითიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არის ამ ყამად ხსენებული საქმე. ამ მოხსენებიდან და მით გამოწვეულ კამათიდან გამოიჩიკა შემდეგი:

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა იხდის საერობო გარდასახადს მიწაზე. პირველად დესეტინაზე იყო 3 კ., შემდეგ კი 9 კ. გახადეს. რადგანაც თავად-აზნაურებს დროზე არ აცნობებდნენ, თუ რამდენი, გარდასახადი და აგრეთვე რადგანაც გარდასახადი უწესოდ იყო გაწერილი (ხშირად თითო მამულზე ორჯერ თხოულობდნენ გარდასახადს, ერთი და იგივე პირი ორჯერ იყო ჩაწერილი სივში და სხვა), ამიტომ თავად-აზნაურობამ დროზე ვერ შეიტანა საერობო გარდასახადი და მას მარტო ჯარიმით დაედო 33 ათასი მანეთი, რომელსაც ხაზინა თხოულობს პირველ ივლისამდე; თუ ამ დროზე არ იქმნება გარდასახადი ეს ჯარიმა, თავად-აზნაურებს გაეცილებათ მამული ხაზინის გასასტუმრებლად. ვარდა ამისა მთავრობას შეუდგენია პროექტი, რომლითაც: 1) ჩვენში შემოდებულ იქმნება ახალი გარდასახადი სახელწოდებით „სახელმწიფო საადგილ-მამული გარდასახადი და 2) მომატებული იქმნება საერობო გარდასახადი. თავად-აზნაურობა მამულების რაოდენობის მიხედვით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ პროექტი უნდა გადაიხადოს წელიწადში: სახელმწიფო გარდასახადი 7 კაპ. დესეტინაზე, ესე იგი, 31 ათასი მან. და საერობოსი—24 კ. დესეტინაზე, ესე იგი, 293000.

\*\*\*

კავკასიის ექიმთა საზოგადოებამ დაადგინა იშვიათადმოლოს მთავარ-მართველის წინაშე, რათა მან ნება დართოს მოწვეული იქნას მიმდინარე წლის დეკემბერში ექიმთა შეჯამ კრება 10 დღით განსახილველად სხვა-და-სხვა სამკურნალო კითხვებისა. სხვათა შორის განსახილველად აღნიშნულია: როგორ მოეწყოს სასანიტარო და სამკურნალო საქმე კავკასიაში, ბრძოლა წინააღმდეგ მალარიისა (ციებ-ცხელებმა), სიფილისისა, ყვავილისა, ქუთრთუშისა და სხვა გადამდებ ავადმყოფობათა. აგრეთვე გამოკვლევა იმ მიზეზთა, რომელიც გამო გრცელდება თვლით ავადმყოფობა და ამ ავადმყოფობის ზედმოქმედება მხედველობაზე; კითხვა შესახებ კავკასიის სამკურნალო წყლებით სარგებლობისა, ჰავის ზეგავლენისა და ქლექთათვის სანატორიის დაარსებისა.

\* \*

საერო განათლების სამინისტროს გაუგზავნია რუსეთის ყველა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთათვის წესდება, რომლის მიხედვით უნდა იქნან ხოლმე მოწვეულნი ადგილობრივ პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კრებები. წესდების ძალით, კრების მოწვევის ნება-რთვას აძლევენ სამოსწავლო ოლქის უფროსი და ადგილობრივი გუბერნატორი, შეამდგომლობასთან ერთად უნდა იქნას წარდგენილი სია იმ კითხვებისა, რომელნიც განხილულ უნდა იქნან კრებაზე. კრების წევრებად უნდა იქნენ მასწავლებელნი იმ სკოლებისა, რომელნიც ექვემდებარებიან ერთს სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორს. კრებაზე არა წევრთ არ შეუძლიათ დაესწრონ.

\* \*

როგორც ტფილისის პასტერის სადგურის 1898 წლის ანგარიშადგანა სჩანს, სადგურში საანგარიშო წესის მილით 451 კაცი. ამითგან სრულიად განთავისუფლებულან ავადმყოფობისაგან 447 კაცი, ხოლო გარდაცვლილა 3. ავადმყოფთა უმეტესი ნაწილი ტფილისისა და ტბილისის გუბერნიადგან ყოფილა—212 კაცი. ავადმყოფები წლოვანობით ასე განიყოფებიან: 12 წელზედ უმცროსი ბავშვები 120, მაშაკაცი 263 და დედა-კაცი 58. აქედგან 357 კაცი ცოფიან ძალისაგან ყოფილა დაკენილი; მგლისაგან—21, ცხენისაგან 6, კაცისაგან ორი, ატისაგან 1 და დათვისაგან 1.


\* \*

კავკასიის ექიმთა მომავალ კრებაზე, ახლად შედგენილ პროექტით, არა ექიმთაც შეეძლებათ დასწრება; მხოლოდ სექციების სხდომებზე, როდესაც სპეციალური მოხსენებები იქნება წაკითხული: კრების არა წევრთ არ შეუძლიათ დაესწრონ. ვისაც ჰსურს კრების წევრად ჩაწერა, უნდა გადახადოს 5 მანეთი.

\* \*

ქ. ნუხიან ატყობებენ, რომ იქ 10 იანვარს, ბ. მაზრის უფროსის დ. ვ. ასანიძის თავმჯდომარეობით მოხდა მებაბრეშუმეთა კრება, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა 50 კაცამდე—მებაბრეშუმეებმა, აბრეშუმის მხვეველ-მექარხნეებმა და გრენიორებმა. კრებაზე აღძრული იყო ბევრი საინტერესო კითხვები მებაბრეშუმეობის შესახებ, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აბრეშუმის გრენის შემოწმესაქმემ, რომლის შესახებაც კრებამ დაადგინა შემდეგი: 1) ეთხოვოს, სადაც ჯერ-არს, რომ სავალდებულო იქნას შემოწმება კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მიერ როგორც უცხოეთიდან შემოტანილი, ისე ადგილობრივად დამზადებულ გრენისა; 2) ქალაქ ნუხის მებაბრეშუმეთა კრება სრულებით ეთანხმება იმ აზრს, რომელიც გატარებულია აბრეშუმის გრენის შემოწმების პროექტში და რომელიც წარედგინა მთავრობის მიერ ნუხის მებაბრეშუმეთა კრებას განსახილველად. რომ გრენის შემოწმებისათვის საჭირო ხარჯები დაიფაროს, კრებამ ერთხმად დაადგინა—გადახდეს უცხოეთიდან შემოტანილ გრენას მისხალზე 2 კაპ. და ადგილობრივ დამზადებულს, მისხალზე 1 კაპ. 3) ეთხოვოს ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ გააცნოს თავიანთ რაიონებში ყველა მებაბრეშუმეებს, თუ რა და რა ფერის ბანდეროლი აკრავს შემოწმებულ ფირმის გრენას და აგრეთვე აუხსნან მათ, რომ ყველა იმ ფირმების გრენა, რომელიც არ არის შემოწმებული სადგურის მიერ, საექვოა და არ არის სასურველი ამ ნაირი გრენის შეძენა. 4) დასასრულ, კრებამ დაადგინა ეთხოვოს ნუხის სამიქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ვ. ა. ემილიანოვს, რომ გააცნოს სოფლის მასწავლებლებს ნუხის კრების ყველა დადგენილებანი, რათა მათ დახმარება გაუწიონ მებაბრეშუმე გლეხებს საღი გრენის შეძენის დროს და სხვა.





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწმუნოებასა და ვეთილ-ზნეობაზე.

## სიტყვა

ხაქის კვირიანკესა ზედა.

თქმული 30 იანვარს კადაუნისა ეკლესიაში.

მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხოვრებად წარწემუდელისა, (ფუკ. 19, 10).

დიდ სიხარულს და სიტყვით გამოუთქმელ აღტაცებას ეძლევა ხოლმე ყოველი ადამიანი, როდესაც იგი ნამდვილი, სარწმუნო, გულდასაჯერი წყაროდან ტყობილობს, რომ მას თავიდან ასცდა, იგი გადაიარა და სრულებით განთავისუფლდა საშინელი და მძიმე სასჯელისაგან, რომელიც აუცილებლივ უნდა გადახდომოდა მას. ამისთანა გარემოების წყალობით ადამიანი ზნეობრივის მხრით იზრდება, მაღლდება და ერთობ მატულობს, მისი არსების ავალსაზიარებელი თვისებად ხდება მტკიცე და შეურყეველი გრძნობა სრული კმაყოფილებისა, გული იცვლება საღაროდ ღმობიერებისა და თვითეულ მისს მოქმედებას ედება მოყვასთათვის გულ-შემატკიერობის ელფერი, ერთი სიტყვით, კაცი თითქმის მეორედ იბადება, ახლდება და წყობილობს სულ ახალ გვარცხოვრებას. მაგალითებისათვის შორს ნუ წავალთ. ავიღოთ თუ გინდ შემდეგი: აგერ გამწარებული და ვარამისაგან ნაცრად ქცეული დედა ლამის არის სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს, ლამის მოისპოს სიცოცხლე და წაიწყვიდოს სული იმის გამო, რომ მისი ცხოვრების ერთად ერთი ნუგეში, მისი მზე და

ბედნიერება, ვაჟი შვილი, შემეკობილი მაღალი ნიჭით, მიხწეული უკვე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დამთავრებამდე, მასთანადე მისული იმ წამამდე, როდესაც მოკირანხულე დედას უნდა შეესვენა შვილზე ზრუნვა-წუთილისაგან და დამტკბარიყო შვილისაგან მოვლა-პატრონობით, ვარდება (შვილი) ისეთ გვარ მძიმე ხიფათში, რომ მართლ-მსაჯულება გადაუტრის მას დაპატრონებას და სიკვდილს. აღარა ანუგეშებს და უბედურ დედას ქვეყნიერობაზედ; აღარსაიდგან აღარ მოვლის იგი ხსნას, მისი შვილის საქმე უკვე გადაჭრილ-გადაწყვეტილია და მარტოოდენ მეფის მოწყალეობა მიანიხ მას თავისი მოუწილებელი ცეცხლის გამაგრილებელ წყაროდ. მართლაცა და არ მოსტყუვდა მოლოდინში: სულგრძელმა, ბრძენმა და ქველობით აღვსილმა მამამ, — მეფემ, — აპატივა ახალ ვაზრდა დამნაშავეს ჩადენილი უგნურება, დაძვარა მისი სისუსტე მეფური დიდსულთობით, შეუნდა მას ყოველი სიკაცობისა და განათვისუფლა დამახურებელი სიკვდილისაგან. განა ლაპარაკილა უნდა, რომ ამ გვარი ამბის შეტყობა განუსაზღვრელად გაახარებს გულ-დამწვარ დედას, გაუხალვათებს მის გულს ყველას სასიყვარულოდ, შესაბრალებლად და სანუგეშოდ, აღავსებს მაღლობით, დაივწყებინებს სხვის მტრობას, შურს, ძვირის სურვილს და შუქმნის მას მხოლოდ სიკეთის მთესვარ-მოქმედად? არა, ეს ყველასთვის ექვს გარეშეა, ყველასთვის ცხადი და თვალსაჩინოა!

მაგრამ რა უნდა იყოს ქვეყანაზე ადამიანისათვის იმაზედ სასარგებლო, საქეთილო, გასახარელი და სასიამოვნო, რაც მოვისმინეთ და გავიგონეთ დღეს წირვის დროს არა კაცისაგან, არამედ თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტესაგან: მოვიდა ძე კაცისა მოძიებლად და ცხოვრებად წარწემუდელისა! გესმით, რამოდენა ბედნიერება ჩაწული ამ ცოტა სიტყვებში? მიხვდით და გაიგეთ, რა სანუგეშო აზრება გამოთქმული ამ ერთი ბეწვა წინადადებითა? მოვიდა ძე კაცისა მოძიებლად და ცხოვრებად წარწემუდელისა? ასე ქეშპირტად გასახარელი, სანუგეშო და ობოლი მარგალიტით ხელის-ხელ საგამანებელნი არიან ყოველი ქრისტიანისთვის ხსენებული სიტყვები! დიხსოვნე, ქრისტიანო, მტკიცეთ ეს სიტყვები, ღრმად აღმოიქმდე იგინი გულის ფიცარზე, იქონიე მუდამ მესხიერებაში, დააწერე თუ გინდ შენი საცხოვრებლის ყველგზედაც!

მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა! კიდევ გკითხავთ,—გვისმით ამ სიტყვების აზრი? იცით ვინ არის ძე კაცისა? საიდან მოვიდა იგი? სად მოვიდა? რა არის მოძიება და ცხოვრება? ვინ არის წარწყმედული? თვითეული მოყვანილი სიტყვა ოქროა და მათგან შემდგარი აზრი—ფას დაუდებელი ოქროს ქსოვილი.

მაგრამ აქ, ღვთის სახლში, ღვთის პირის წინაშე, ყველასა გვმართებს გულ-ახდილობა, სიწორფლევ და დანაშაულის შენანება; ამისთვის ნუ დაირცხვენთ ტყუილად და გულ-ახდილად გამოტყუით, რომ ძალიან ბევრს აზრადაც არ მოგსვლით მოყვანილ სიტყვებზე ყურადღების მიქცევა, არ გასჯილხართ მათ დახსოვნას, ან რა გვარად შეიძლება დახსენება, როდესაც არც კი გაგიგონიათ იგინი, რადგანაც მათი წაკითხვის დროს ბევრი თქვენგანნი ძალიან შორს იყვნენ წასულნი თავიანთ გონებით. ცუდი, მეტად ცუდი რამაა დაუდევრობა და უყურადღებობა. დაუდევარ ადამიანს შეუძლიან ზედ გადაუაროს ოქროს უშველემელ ზოდს, შესაძლოა ფეხიც წამოჰკრას მას, მაგრამ უყურადღებობისა გამო ვერ შენიშნოს და ვერ ისარგებლოს ძვირფასი განძით. სწორეთ ასეთ ძვირფასი ოქროს ზოდს ღირებულ აზრებს ჰკარგავს და აკლებს მუდამ თავის თავს ინი, ვინც ეკლესიაში ყოფნის დროს არ შემოიკრებს აზრებს, არ უკვირდება ყოველ მოქმედებას, ყოველ საკითხავს და საგალობელს მახვილი გონებით. სწორეთ ეს საგამომელი დაუდევრობა მიზეზი, რომ ბევრს სრულებითაც არ გაგიგონიათ ზემოთ მოყვანილი ძვირფასი სიტყვები მაცხოვრისა და, რასაკვირველია, არც შესაძლო იყოს ამის გამო, რომ მათ გამოეწვიათ თქვენ გონებაში რაიმე მსჯელობა. ასე, მოიშალეთ, საყვარელნო მსმენელნო, ეკლესიაში ყოფნის დროს გარეშე საგნებზე ფიქრი და ფხლა მაინც მოისმინეთ გულდასმით იესო ქრისტეს სიტყვები: მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა.

ძე კაცის არის თვით იესო ქრისტე; იგი მოვიდა ზეცოდამ ქვეყანათ მოძიებად, ე. ი. დასძიებლად, მოსამებნად, საპოვნელად და ცხოვრებად, მდამიოდ საცნობელად წარწყმედულისა, ე. ი. ცოდვების გამო დაკარგული და დაღუპული ადამიანისა. ასე, მხსნელი და მდამადებელი ჩვენნი იესო ქრისტე თავისი საკუთარი და არა ანგელოზისა, არ მოცი-

ქულისა, ანუ სხვისა ვისიმე პირით გვიბძანებს, რომ მისი ქვეყნათ მოსვლისა, ე. ი. მისი კაცობრივი დაბადებისა, აღზრდისა, სწავლა-მოქმედებისა, ტანჯვა-წამებისა, წყურვილ-შიმშილის დათმენისა, ყვრილთ ცემისა, დანერწყვისა, სისხლის დაწთხვისა და ჯვარზედ ავაზათა შორის სიკვდილის მიღების ერთად ერთი მიზანი იყო ყოველი ცოდვილი ადამიანის პოვნა და მიცემა მისთვის საუკუნო ცხოვრებისა, გაუთავებელი ნეტარებისა, მისი ცხოვნება. ისინი და შეიგნენ, საყვარელო ქრისტიანო, რომ ის, რომლისაგანაც მხარისა ცა და ქვეყანა, მიეცა ჯვარცმას და სიკვდილსა ჩემი ცხოვნებისთვის, შენი მოქცევისათვის, იმის სინანულისთვის, პეტრეს სულიერი ნეტარებისთვის, მიხეილის განწმედისათვის, ხოლო ყველასთვის ისეთი სიკეთის მინიჭებისთვის, რომელიც თვალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა! (აქორინთ. 2, 9) ქვა უნდა ედოს კაცს მკვდრში გულის მაგივრად, რომ ამ სიტყვების გაგონებაზედ არ აღივსოს იგი გამოუთქმელი ბედნიერებით, ცივი წყალი უნდა სდიოდეს ადამიანს ძარღვებში, რომ ამისთანა ბედნიერების შეგნებამ არ მოიკვას იგი მხურვალე სიხარულით, უგონო და უაზრო უნდა იყოს იგი, რომ ვერ მიხვდეს და ვერ დააფასოს ილია მინიშნულთა ნაწარმები სიტყვებისა. რილასი გეშინიან და გვეფიქრება შენ, ძვირფასო მსმენელო, მას უკან, როდესაც თვით მეუფე მეუფეთა ბძანებს: მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისაო? ამის შემდეგ, რაღათ უნდა შიშობდე კიდევ, რომ სასუფეველი ღვთისა არ არის შენთვის განზადებულნი, რომ სასუფეველის შესავალში წინ დაგიდგები ვინმე, ან დაგაბრკოლებს რამე? მესმის, შენ მიმითითებ აუარებელ ცოდვათა ბეგრთზედ, რომელიც განუხვება და შიშსა გვგონს, მაგრამ იცოდეთ, რომ ძესა კაცისასა, რომელიც იწვევს ცოდვათა ჩვენთათვის და გვეუფლებს არს უსჯულყოფათა ჩვენთათვის, (ისაია 53, 5) ყოველთვის აქვს ხელმწიფება მიტევადად ცოდვათა (მარკ. 2, 10). ჩვენდა საკეთილ-დღეოდ ეს ღვთაებრივი ხელმწიფება, ეს უზენაესი უფლება მართოთითონ არ მითვისისა და არ დაისაკუთრებ მან, არამედ მიანიჭებ თავის წმიდა ეკლესიასაც იმ მიზნით, რასაკვირველია, რომ ქრისტიანს შეეძლოს დაუბრკოლებლად მიიღოს ეკლესიაში ცოდვათა შენდობა და ყოველთა ბიწიერებათაგან განწმედა; მიიღეთ



სული წმიდა, უბძანა მან თავის მოწაფეებს. (ხოლო მათ მიერ გეგბძანა ჩვენც, სამღვდლოებს). რომელთა მიუტევენთ ცოდვანი, მიეტევენთ მათ, და უკეთუ ვითენიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ (იოან. 20, 23—24). ნუ შეუშინდები აგრეთვე, ძვირფასო მსმენელო, დაუძინებელ უხილავ მტერს, რომელსაც, მართალია, შურს შენთვის კეთილი და ყოველ გვარად მეცადინაობს შენს წაწყმედას, მაგრამ იცოდე, რომ ძემან კაცისამან სძლია ეშმაკსა თავისი პატიოსანი ჯვართა და შენც ამავე უძლეველი იარაღით დასცემ მას და სირცხვილელულ ჰყოფ ყველაფერში. მართალია, გზა საუკუნო ცხოვრებისადმი იწრო და ფრიად ძნელია, მაგრამ იცოდე, რომ თუ კი მტკიცე სასოებით სთხოვ რამეს მაცხოვარს, ყველაფერს აგისრულებს იგი და შეგაძლენინებს, რადგანაც თითონვე ბძანებს: რაიცა ითხოვთ სახელითა ჩემითა, იგი ვეუ (იოან. 14, 13). ან კი რა სახეში მისაღები არიან ყველა ეს დაბრკოლებანი, როდესაც თვით სიკვდილიც კი ქრისტეს მიერ მოძიებულთათვის არამც თუ აღარაფერს საშიშს აღარ შეიცავს, პირ იქით მეტად საბედნიეროცაა მათთვის: რომელსა ჰრწმუნეს ჩემი, მოღათუკედეს, ჰსცხოვრდეს (იოან. 11, 25) ბძანებს ძე კაცისა.

აჰ, ძმანო ქრისტიანერო, ისინით და ნამდვილათ დარწმუნდით, რომ ძე კაცისა დაგეძებთ ყველას, რათა გიპოვოთ და წაგიყვანოთ სჯანგათა შინა სხლს მამის თვისისას (იოან. 14, 2), მამსადამე განწმორთ ყველამ უჯგერო შიში და ფიქრები, იქონიეთ მტკიცე იმედი ცხოვნების შექენისა და ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ იგი განწირული და დევწყებული ჰყავდეს უფალსა. გამხნედით, გამხიარულდით და დასტებით ყველანი, რომელთაც გუფლით გწაიდანთ ცხოვნება, ხოლო რადგანაც, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, სიხარული ამაღლებს და აპატიონებს კაცის ზნეობას, ჩვენც ამ სიხარულს მიუ უნდა ავმაღლდეთ ზნეობით, შეგვევალოთ საუკეთესოდ აუტოლებლად აწინდელი ჩვენი ყოველდღიური არა სათნოებანი ყოველ ქვევა, შევიქმნეთ ახალ თხე (აკორ. 5, 7), ვცდილობდეთ ყოველ წამს რაიმე სათნოების შექენა-მოპოვებას, ზნეობრივ ნაკლულთაგან განთავისუფლებას, ერთმანეთის მტრობა-ვაუტანლობის დაფიწყებას, ქვრივ-ობოლთა და დავრდომილთა სიბრალულისა, ვაკითხვისა და დახმარების შექენას, ლოცვა-მარხულობაზე გულო-

დგინებას და მთლად ცხოვრების იმ გვარათ მოწყობას, რომ თვით საქმეთაგან ჩვენთა იდიდებოდეს ზეციერი მამა ჩვენი. ესოდენი ჩვენი სულიერი, პატიოსნური და ქრისტიანული მიმართულების ცხოვრება იქნება მეტად სასიხარულო აგრეთვე იმისათვის, რომელიც მოვიდა მოძიებლად და ცხოვრებად წარწყმედულისა და ამის გამო საშინელი განკითხვის დღეს ველირებით მისგან შემდგეი სანატრელი სიტყვების მოსმენას: მოგვდით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო! და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამილგან სოფლისათ. (მათ. 25, 34) ამინ.

ლუიზიდი, ეპისკოპოსი გორის.

## საუბარი მორკი.

### სამდაზღვე.

თითოეული ქრისტიანე არის წვერი ღვთის სასუფეველისა, და რომ ღირსეული წვერი შევიქნეთ ამ სასუფეველისა, საქირაა გვაქენდეს ამის შესაფერისი თვისებანი. პირველად საქირაა შევივნოთ, რომ ჩვენ ცოდვილი ვართ ღვთის წინაშე, უნდა გვრწამდეს, რომ ჩვენ ჩვენის საკუთარის ძალით არ შეგვიძლია გავიწმინდოთ ცოდვისაგან, რომ ამისათვის საქირაა ღვთებრივი ძალა, ერთი სიტყვით, საქირაა შევივნოთ ჩვენი სულიერი სილატაკე. სულიერი სილატაკის წინააღმდეგია ამპარტავენება, რომელიც არის დასაწყისი და წყარო ცოდვისა. ამპარტავენება იყო მიზეზი, რომ ჩვენმა წინაპრებმა შესცოდეს, რადგან მოინდომეს ღმერთთან გათანასწორება, რომ ცოდნოლათ კეთილი და ბოროტი; ამიტომაც პირველ მცენებს იესო ქრისტე უპირდაპირებს ამპარტავენებას, რომლის წინააღმდეგ საბრძოლოვალად აღნიშნავს სულიერ სილატაკეს და სიმშვიდეს. სულიერი სილატაკე, ანუ სიმშვიდე, მოსკოვის მიტროპოლიტის ფილარეტის სიტყვით, არის მდაბალი და მზურვალე ლოცვა. მშვიდობის მოყვარე კაცი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ მას თავისი არაფერი არ გააჩნია, მას აქვს მხოლოდ ის, რაც მისცა ღმერთმა, და არაფერი კეთილი საქმის გაკეთება არ

შეუძლია ღვთის შეუწყენელად; ამ სახით ასეთი კაცი მუდამ მზად არის ევედროს უფალს, რათა იგი მოწყალე ექმნეს მას. წმ. ოქროპირის განმარტებით სულიერი სიღატაკე არის სიმდაბლე, სიმშვიდე. მაშ რომ მივიღოთ ზეციური სასუფეველი, უნდა გვაქნდეს სიმდაბლე, ხოლო თუ იგი არა გვაქვს, ვეცადოთ მოვიპოვოთ. რაში მდგომარეობს სიმდაბლე?

1) პირველად პატივი უნდა ესცეთ მოყვასთ ჩვენს თავზედ უკეთესად და ჩვენი თავი მიგვაჩინდეს ყველაზე უკანასკნელად. 2) ჩვენი კეთილი საქმეები და მოღვაწეობა უნდა მივაწყოთ არა ჩვენს თავს და ჩვენს მეცადინობას, არამედ ღვთის შემწეობას, — სწორედ ასეთი სიმდაბლე აქნდება წმიდანებს. ასეთი სიმშვიდე და სიმდაბლე ჩნდება კაცის სულში ღვთის მცნებათა აღსრულების შემდეგ. როცა რტოებზედ ბერები ხილი ამბია, რტოები ძირს იღუნებიან; რტო, როგმელზედაც ნაყოფი არ არის, ან არის, მაგრამ ცოტა, მაღლა აწვირილია და თან-და-თან მაღლა იზრდება; არიან აგრეთვე ხეები, რომელნიც ხილს არ იძლევიან, ვიდრემდის მათი რტოები მაღლა იზრდებიან, მაგრამ როცა ამ რტოებს შეაბმენ ქვევს და ისინი ძირს დაიღუნებიან, მაშინ რტოები ისხამენ ხილს. ასეა სულიც, როცა იგი მოიპოვებს სიმშვიდეს და სიმდაბლეს, მაშინ იძლევა ნაყოფს და რამდენადაც ბევრ ხილს იბამს, მით უმეტეს მშვიდდება კაცი. ასევე იქცევიან წმიდანებიც; რამდენადაც უფრო უახლოვდებიან იგინი უფალს, მით უფრო ცხადათ ხედვენ თავიანთ ცოდვებს. საღმრთო წერილში ჩვენ ვხედავთ არა მცირე მაგალითებს სიმშვიდისას. უმაღლეს მაგალითს სიმშვიდისას წარმოგივადგენს ჩვენ თვით იესო ქრისტე; იგი გვეუბნება: «ლიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა, და ისწავეთ ჩემგან; რამეთუ მშვიდი ვარ და მდაბალ გულითა; და სპოვით განსვენებთა სულთა თქვენთა» (მათ. 11, 29). საიდუმლო სერობის დროს იესო ქრისტემ ფეხი დაჰბანა თავის მოწაფეებს და რქვა მათ: «უკეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღვარმან და თქვენცა თანა-გუამს ურთიერთ არს დაბანად ფერხთა, რამეთუ სახე მიგვეც თქვენ, რათა, ვითარცა ესე მე გიყავთ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ჰყოფდეთ» (იოან. 13, 14—15). ყოვლად წმიდა ქალწულმა მარიამმა, როცა მოისმინა მოკითხვა ანგელოზისაგან, რომ მისგან იმობადება ძე ღვთისაო, რქვა ანგელოზს: «ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განი-

ხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხენდა სიმდაბლესა ზედა მხევისსა თვისისა» (ლუკ. 1, 46—48). წმიდა იოანენათლის-მცემელი, როცა ქადაგებდა, ამბობდა: «ესერა მოვალეს უძლიერესი ჩემსა შემდგომად, რომლისა ვერ ღირს ვარ განხსნად სახელსა ჩაღმოს მისთასა» (მარკ. 1, 7).

წმიდა მოციქული პავლე, რომელმაც ყველა მოციქულებზე მომეტებული იღვაწა სახარების სწავლის გასაერცვლებლად, ამბობს: «რამეთუ მე ვარ ნარჩევი მოციქულთა, რომელი არა ვარ ღირს წოდებულ მოციქულად, რამეთუ ვსდენიდი ეკლესიათა ღმრთისათა» (კორინთ. 15, 9). ყოველივეს, რაც კი მოიქმნა წმ. პავლე მოციქულმა, იგი აწერს ღვთის ძალას: «ხოლო მაღლითა ღმრთისათა ვარ, რა იგი ვარ; და მაღლი იგი მისი, რომელი ჩემდა მომართ იყო, არა ცუდად რა იყო, არამედ უმეტეს მათ ყოველთასა დაგშერ არა მე, არამედ მაღლი იგი ღმრთისა, რომელი იყო ჩემთანა» (სტ. 10). საეკლესიო ისტორიაში ჩვენ ვხედავთ მრავალ მაგალითებს ქვეშარატი და ქრისტიანული სიმშვიდისას; განსაკუთრებით ბერ-მონაზონთა შორის. ანგელოზთი მაგალითებთ მრავალთაგან. პირვეის უღბნოში იყო ერთი მოხუცებული. მონასტრის მღვდლებს და ბერ-მონაზონთ, როცა მათ გადაეცემალათ წინამძღვარი, ეს მოხუცებული როგორც ღვთისმოსავი პირი, უნდოდათ აერჩიათ წინამძღვრად. მოხუცებულმა რქვა მათ: «მამანო, თავი დამანებეთ, მე მსურს ჩემი ცოდვები ვინანო; მე ისეთი არა ვარ, რომ სხვებზე ვიზრუნო; წინამძღვრობა ხვედრია ღილ მამათა, რომელთაც აქვსთ სული აბოსი, ან ტონისა და სხვათა მავალთა». ძმები კი ყოველ დღე სთხოვენ ხოლმე ამ მოხუცებულს, რომ მას წინამძღვრობა მიეღო თავის თავზე, ხოლო მოხუცებული კი მუდამ უფრზე იღვა. ბოლოს, როცა დანიანა მოხუცებულმა, რომ ძმები არ ეშვებიან, შემდეგი პასუხი მისცა მათ: «სამი დღე მადროვეთ, რომ ღმერთს შევეცდეთ, და რაც ღმერთს ენებება, იმას ვიქ». ეს თქვა მან პარასკევს, ხოლო კვირადილას გარდაიცვალა.

ერთხელ ღირსი თეოდორე კიევი-პეტერის მონასტრის წინამძღვარი დამით მიდიოდა დიდი მთავრის ოჩაისლავისაგან. მთავრის მოსამსახურემ, რომელიც ვერ იცნობდა ამ წმიდა მამას, უზრდელად



უთხრა მას; «ბერო, შენ მუდამ უსაქმოდ ხარ, მე კი მუდამ ჯდავში ვარ; შენ ცხენს ვაპყვე და მე კი ეტლში ჩაჯდები». ღირსმა თეოდორემ ხმა ამოუღებლად დაუთმო მოსამსახურეს თავისი. ადგილი და მიყავდა მთელი ღამე მთავრის მოსამსახურე მოსვენებით. ღილას მოსამსახურე შეშინდა, როცა ნახა, რომ გზაზე შეხვედრილი მებატონეები ცხენიდან ხტებოდნენ და თავს უკრავდნენ ღირს თეოდორეს. ღირსმა თეოდორემ მიიყვანა მოსამსახურე უღაბნაში და ბრძანა, რომ კარგად გამაძინებოდა ღირსმა. ღირსი კირილე, რომელიც აღრჩეულ იქნა წინამძღვარად სიმონის უღაბნაში, შეუშინდა იმ პატივისცემას, რომელიც მას აღმოუჩინეს უღაბნაში, მან უხარყო თავისი ხარისხი, და დაეხსლა პატარა სენაკში, როგორც უბრალო ბერი. წმიდა კირილე იმდენად მშვიდი იყო, რომ მან ერთხელ ვიღაცა ბერს, რომელმაც მის პირველად პატივსაცემად, ხოლო შემდეგ მოიძულა იგი და ყველას წინაშე ლანძღავდა მას, უთხრა: «ყველანი ცდებიან ჩემ შესახებ, როცა მე მართალს მეძახიან; მხოლოდ შენ ერთი ამბობ მართალს და იცო ყოველივე ჩემი უღირსობა. ერთხელ ერთმა მთავარმა განიძობა უღაბნაში მისი და წმიდა კირილეს ნახვა; კირილემ რომ ეს გაიგო, მისწერა მთავარს: „მე შენ წინააღმდეგ ვაუწყებ, რომ ჩემი ნახვა არ შეიძლება; უღაბნოს თავს დაეანებებ და იქ წვალი, საითქვანაც ღმერთი მიჩვენებს გზას. თქვენ ფიქრობთ, რომ მე კეთილი და წმიდა კაცი ვარ? არა, ქვეშაირტად მე ყველაზე ცოდვილი და უბედური ვარ და აღვილი სარცხელით. თუ შენ წამოხვალ ჩემთან, მაშინ მთელი ხალხი იტყვის: „კირილეს სანახავად წავიდაო“.

აი, ძმანო ქრისტიანო, რა სიმშვიდეს და სიმდაბლეს იჩენდენ ქრისტეს ეკლესიის მნათობნი! მოდი, ჩვენც მივბაძოთ მათ და გვახსოვდეს, რომ მათ სიმშვიდისათვის მიიღეს დიდება, რომელიც არ წაერთმევათ მათ დასასრულამდე ქვეყნისა. ყველა ღათის მოსაყენი ერთდებოდნენ ყოველივე მას, რასაც შეეძლო ვნება მიეცა მათი სიმდაბლისთვის, რასაც შეეძლო აღეძრა ამპარტანება,—ეს დედა ყოველგვარი ცოდვებისა, ხოლო ჩვენ უძღლური გაუბრძოვარი ყოველივე მას, რასაც ცოტა ოდნავად არის შეუძლია ჩვენი ღირსების დამტკიცება; ხშირად გაუბრძოვარი ყოველივე მას, რასაც შეუძლია დაამტკიცოს ჩვენი თავმოყვარება და ამპარტანება და ვეცოვებით ყოველივე მას, რაც ფრთხვებს ასხამს ჩვენ

თავმოყვარებას და ამპარტანებას და ვივიწყებთ, რომ წუთიერი და დროებითი სიამოვნებისათვის ვკარგავთ ზეციურ სასუფეველს. არაფერი არ არის ჩვენი დამლუპველი გარდა ჩვენი ამპარტანებისა და თავმოყვარებისა. მაგრამ ამაზე ვისაუბროთ შემდეგ, ხოლო დღეს გულწრფელი ლოცვით მივექცეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესადმი და შევევედროთ: „შენ უფალო, დიდებო ზეციური მამისაო, რომელმა მოგვამაღლე სახე სიმშვიდისა, როცა დამიდაბლე თავი შენი სიკვდილამდე და ევენე ჯგარა ზედა, შეგვეწერე ჩვენ, მოგვანიჭე ჩვენ სული სიმშვიდისა, და მოგვამაღლე მაღლი, რათა ვიხილოთ ცოდვანი ჩვენი და ვადილოთ სახელი შენი უუწყისამდე“.

## სასელმძღვანელო, საყურადღებო, საქმიანო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

**მღვდელთა მსახურების წეს-რიბი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საზიარო ცნობანი სამღვდლო და სამეკლესიო მოსამსახურეთათვის.**

მღვდელ-მთავრის თანამწირველი მღვდლები, თვით მღვდელ-მთავრის ტაძარში მობრძანებამდი, ნახევარი საათით მიინც წინ-და-წინ უნდა მივიდნენ ეკლესიაში, დაათვალიერონ თვის თვისი შესამოსლები და განიხილონ ყველაფერი მზად არის წირვისათვის, თუ არა. უმცროსი მღვდელი წაიკითხავს შესავალ ლოცვებს, შემოსება რიგისამებრ და ჰკვეთს. კვეთის დროს ცოცხალთა სეფისკერის ზედა პირზე მარტო სამ ნაწილს აღმოიღებს, ხოლო მიცვალბულთა სეფისკერის ზედა პირზე ერთ ნაწილს. დანარჩენი ნაწილები ორივე სეფისკერიდან უნდა აღმოიღებულ იქნან კვედა პირზე. ამ წესითვე აღმოიღებენ ნაწილებს ამ ორი სეფისკერიდან სხვა თანამწირველნიც, არქიმანდრიტები იქნებიან, დეკანოზები, თუ მღვდლები, ვინაიდან ზედა პირზე მხოლოდ მღვდელ-მთავარმა უნდა აღმოიღოს ნაწილები.

სანამ მღვდელ-მთავარი ტაძარში შებანდებოდეს, თანამწირველი სამღვდლოება გამოვა კარის ბჭეში შესაგებებლად და გაჩერდება: უმცროსი მღვდელი შემოსილი გამოვა, ხოლო დანარჩენი ანაფორებით.



უმცროსი მღვდელივე გააღებს სამეფუფო კარებს და გამოიტანს ლანგარზე განმზადებულ ჯვარს, რომელსაც ბოლო მღვდელ-მთავრის მარჯვენა ხელისაქენ უნდა ეჭმეს მიტკეული. აქ ღღანან რიგზე—უფროს —უმცროსობით და უტდიან მღვდელ-მთავრის ტაძარში შემოსვლას. პირველ ადგილს მარჯვნივ დიქრის უფროსი თანამწირველი: არქიმანდრიტი, დეკანოზი, ანუ ბლაღოჩინი; ამის პირ-და-პირ, მარცხნით, პირველ ადგილზე დადგება მეორე მღვდელი, რომელიც დანარჩენ მღვდლებზე სამსახურით, ან ჯილდოთი წინ არის. ამის და მიხედვით დადგებიან სხვებიც.

როცა ტაძარში შესვლისას მღვდელ-მთავარი არწივზე დადგება, ვედრებასა ჰყოფს და თაყვანისცემს აღმოსავლეთით, მასთან ერთად ვედრებასა და თაყვანის ცემასა ჰყოფენ თანამწირველნიც; ხოლო როცა მღვდელ-მთავარი ჯვარს დასახავს მათ და აკურთხევს, მღვდლები თაყვანს ცემენ თვით მღვდელ-მთავარს.

როცა მღვდელ-მთავარს მანტიის მოსახავენ, უმცროსი მღვდელი მიართმევს ლანგრით ჯვარს და აღების დროს ემთხვევა მარჯვენაზე; მერე მობრუნდება და ჩადგება რიგში. მღვდელ-მთავრის მიერ ჯვარზე მთხვევის შემდეგ მოვლენ მღვდლებიც უმცროსი უმცროსობით და ემთხვევიან პირველად ჯვარს, მერე მღვდელ-მთავარს მარჯვენაზე და შემდეგ ისევ თვის თვის ადგილებს დაიჭერენ. ამ დროს მივა უმცროსი მღვდელი ჯვარის ჩამოსართმევად და, როცა მღვდელ-მთავარი ჯვარს ლანგარზე დასავენებს, კიდევ ემთხვევა მარჯვენაზე. ამის შემდეგ ყველანი თაყვანს ცემენ მღვდელ-მთავარს და წავლენ ამბიონისკენ. უმცროსი მღვდელი გაჰყვება დიაკვნებს ლანგრით, გაივლის ამბიონს და ჩრდილოეთის კართ შუვა საკურთხეველში, სადაც ჯვარს დასავენებს ტრაპეზზე. უმცროსი მღვდლის შემდეგ მიდის მღვდელ-მთავარი, ხოლო მღვდელ-მთავარს თანამწირველნი მღვდლები მოჰყვებიან—ორ-ორი ერთად. მღვდელ-მთავარი შედგება ამბიონზე, მღვდლები ძირს დადგებიან იმ რიგზე, როგორც არის ბჭეში, და ისმენენ შესავლის ლოცვებს. უმცროსი მღვდელიც, ჯვარის ტრაპეზზე დასვენების შემდეგ, გამოვა იმავე კარებით, რომლითაც შევიდა საკურთხეველში, და თვის ადგილს დაიჭერს.

შესავლის ლოცვების წაკითხვის შემდეგ, როცა

მღვდელ-მთავარი მდგომარე ხალხს ჯვარს გადასახავს და შესამოსად „განმზადებული ადგილისკენ“ წამოვა ამბიონიდან ჩამოსვლისას პირველი ორი უფროსი თანამწირველნი ხელს ამოსდებენ მღვდელ-მთავარს მკლავში და გამოჰყვებიან გვერდით, ხოლო დანარჩენნი თანამწირველნი უკანით დადგებიან შესამოსავ ადგილთან რიგზე და ვედრებასა ჰყოფენ მღვდელ-მთავართან ერთად. შემდეგ ამის მივლენ ორ-ორი ერთად, მიიღებენ ლოცვა-კურთხევას მღვდელ-მთავრისაგან და შევლენ საკურთხეველში: მარჯვნივ მდგომარენი—სამხრეთის კართ, ხოლო მარცხნით მდგომარენი ჩრდილოეთის კართ. აქ საკურთხეველში შეიმოსებიან.

მღვდლების შემოსევაში მღვდელ-მთავარსაც შემოსვენ დიაკვნები და როცა არქიდაკონი დაღად ჰყოფს: „ესრეთ ბრწყინვედინ ნათელი შენი წინაშე კაცთა...“, გამოვა საკურთხეველიდან სამხრეთის კართ უმცროსი მღვდელი, ხოლო ჩრდილოეთის კართ—მკითხველი და ორივე ერთად მიუახლოვდებიან მღვდელ-მთავარს და შუა ტაძარში გაჩერდებიან: მღვდელი მარჯვნივ მღვდელ-მთავრისა, მკითხველი მარცხნით მღვდლის პირის პირ, ამბიონსა და მღვდელ-მთავარს შუა. აქ ვედრებასა და თაყვანის ცემას ჰყოფენ ორივე ერთად აღმოსავლეთისაკენ, მობრუნდებიან და თაყვანის ცემენ მღვდელ-მთავარსაც. როცა მღვდელ-მთავარი ჯვარს დასახავს მათ, მღვდელი იტყვის: „კურთხეულ არს ღმერთი ჩენი...“ და მკითხველი დაიწყებს ჟამნების კითხვას. მესამე და მეექვსე ჟამნებზე ნაცვლად: „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა...“, თითქმის მღვდლის მიერ: „ლოცვითა წმიდისა მეუფისა ჩენისისათა, უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო ჩენი შეგაწყლენ ჩვენ“. ყოველ ასამაღლებელის შემდეგ მღვდელიცა და მკითხველიც თაყვანს ცემენ მღვდელ-მთავარს.

ჟამნების კითხვაში მღვდლები ჰყვებიან და მოიხსენებენ ცოცხალთა და მიცვალბებულთა, ხოლო ჟამნების დასასრულს მოვლენ ყველა თანამწირველნი ტრაპეზთან, ვედრებასა ჰყოფენ ღვთისადმი და სამგზის თაყვანის ცემენ; შემდეგ ემთხვევიან ტრაპეზს,

\*) დიდ-მარჯვანში, თენიერ შაბათ-კვირისა, ჟამნებზე ითქმის: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ, და მაკურთხენ ჩენ, და გამოაჩინე პირი შენი ჩვენზედა, და შეგვიწყალენ ჩენ.»



მოიდრეკენ თავს ურთიერთ-შორის და გამოვლენ საკუთხეველიდან სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარებით; მოვლენ და დადგებიან მღვდელ-მთავართან იმ რიგზე, როგორც წინათ. აქ, მღვდელ-მთავართან ერთად ვედრებასა ჰყოფენ ღვთისადმი და შემდეგ თავყანს ცემენ თვით მღვდელ-მთავარს.

ლიტურლიის წინათ წასაკითხავ ლოცვების გათავების შემდეგ მღვდელ-მთავრის მიერ, უფროსი თანამწირველი თავყანს ცემს მღვდელ-მთავარს, შვეა საკუთხეველში სამხრეთის კარით, ტრაპეზის წინ ვედრებასა ჰყოფს უფლისა ღვთისადმი და ემთხვევა ტრაპეზს; მერე მობრუნდება და გაღებულ სამეუფო კარებიდან თავყანს ცემს თვით მღვდელ-მთავარს. შემდეგ აიღებს წმ. სახარებას და ჰყოფს ჩვეულებისამებრ ლიტურლიის დაწყებას: „კუროთხეულ არს მიუფება...“ ამის შემდეგ ხელახლავ თავყანს ცემს მღვდელ-მთავარს და დადგება ტრაპეზთან მარჯვნივ.

ღიდი კვერქისის შემდეგ ასამალღებელს „რამეთუ შენის შენდა ყოველი დიდება...“ იტყვის უფროსი თანამწირველი, თვის ადგილზე მღგომარე, ხოლო ასამალღებლის შემდეგ თავყანს ცემს მღვდელ-მთავარს ტრაპეზის წინიდან. ამ დროს თავყანის ცემს მეორე მღვდელიც, თვის ადგილზე მღგომარე, და შემდეგ შვეა საკუთხეველში, ჩრდილოეთის კარით; მივა და ემთხვევა ტრაპეზს წინიდან; შემდეგ მობრუნდება და თავყანს ცემს მღვდელ-მთავარს გაღებულ სამეუფო კარებიდან, მოიდრეკს თავს უფროსი-თანამწირველის წინაშე და დადგება ტრაპეზის მარცხენა გვერდზე—პირველი მღვდლის პირ-და-პირ. მცირე კვერქისის შემდეგ ასამალღებელს: „რამეთუ შენი არს სიმტკიცე...“ იტყვის მეორე თანამწირველი, თვის ადგილზე მღგომარე, ხოლო ასამალღებლის შემდეგ თავყანს ცემს მღვდელ-მთავარს ტრაპეზის წინიდან. ამავე დროს ყველა თანამწირველიც, რამდენიც არიან, თავყანს ცემენ მღვდელ-მთავარს და წავლენ საკუთხეველში\*). მარჯვნივ მღგომარენი—სამხრეთის კარით, მარცხნივ მღგომარენი—ჩრდილოეთის კარით. მოვლენ ორი-ორი ერთად, ემთხვევიან ტრაპეზს, მერე მობრუნ-

დებიან და თავყანის ცემენ მღვდელ-მთავარს და ურთიერთ არს. შემდეგ ამისა თვის თვის ადგილებს დიკურენ ტრაპეზის გარემოში. მცირე კვერქისის შემდეგ მეორე ასამალღებელს: „რამეთუ სახიერი და კაცთ მოყვარე ღმერთი ხარ...“ იტყვის მესამე თანამწირველი და ასამალღებლის შემდეგ თავყანის ცემს მღვდელ-მთავარს ტრაპეზის წინიდან.

მცირე გამოსვლის წინ უფროსი თანამწირველი თავყანს ცემს მღვდელ-მთავარს გაღებულ სამეუფო კარებიდან,—ტრაპეზის წინიდან,—მერე მობრუნდება, აიღებს წმ. სახარებას და მისცემს არქიდაკონს. ამ დროს მოვა მასთან მეორე თანამწირველიც და ორნივე ერთად ემთხვევიან ტრაპეზს, თავყანის ცემენ მღვდელ-მთავარს და გამოჰყვებიან არქიდაკონს: უფროსი მღვდელი შემოუვლის ტრაპეზს მარჯვნიდან, ხოლო მეორე—მარცხნივთვე გამობრუნდება. მათ შემდეგ მესამე და მეოთხე თანამწირველიც მოვლენ, ემთხვევიან ტრაპეზს წინიდან, თავყანის ცემენ მღვდელ-მთავარს და გამოჰყვებიან იმ რიგად, როგორც პირველი და მეორე თანამწირველი. ასევე მოიქცევიან დანარჩენნი თანამწირველიც, უკეთუ არიან.

მცირე გამოსვლის დროს ყოველი მღვდელი თვის თვის ადგილს დიკურს შუა ტაძარში, როგორც წინათ ლიტურლიის დასაწყისს, შემოუვლიან და მარჯვნივ მღგომარენი მღვდელ-მთავრის შესამოსავ ადგილს. როცა მღვდელ-მთავარი ბძანებს: „კუროთხეულ არს შესავალი წმიდათა შენთა“, ყველა თანამწირველი თავყანს ცემენ მღვდელ-მთავარს, ხოლო როცა არქიდაკონი ხმა ჰყოფს: „სიბრძნით აღემართენით“, გალობენ „მოვედით თავყანის ვსკეთ...“ ს. გალობის დროს, როცა იტყვიან: „და შეურდეთ ქრისტესა...“ და მღვდელ-მთავარი მოიდრეკს თავს, მღვდელნიც, ყველანი ერთად, მოიდრეკენ თავს; შემდეგ მღვდელ-მთავრის ჯვარის გადასახვებელაც მოიდრეკენ თავს. როცა მღვდელ-მთავარი ტაძარში მღგომარე ხალხს აკუროთხევეს ჯვარის დასახებით, მივლენ პირველი ორი თანამწირველი, ამოდებენ ხელს მკლავში მღვდელ-მთავარს და კათედრიდან ამბიონზე შეიყვანებენ, ხოლო დანარჩენნი მღვდლები გამოჰყვებიან რიგით. ორი-ორი ერთად.

\*) უკეთუ წირვა მწუხრთან ერთად სრულდება, მაშინ მღვდლები შევლენ საკუთხეველში პირველი მღვდლის მიერ ასამალღებლის თქმის შემდეგ, ღიდი კვერქისის დასასრულს.



გ ა ნ ც ხ ა ლ მ ა ნ ი .

მიიღვა ხელის-მოწერა 1900 წლისათვის ოკ  
ვირბულ გამოცემათა ქართულს

„**კვფლი**“ - №

ღ

რუსულ «**ПАСТЫРЬ**»-ზე

ქუ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.  
— ,, ორივე გამოცემა 5 მ. — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც  
ყვარალაში, აგრეთვე ქუთაისშიც. თბილისში  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის  
მაღაზიაში, ბ. შიო ქუთუაყვილთან. ფოთში—დეკა-  
ნოზ მ. გრიგოლ მაჭაროეთან; საჩხერეში—ყარაან  
ჩხეიძეთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოეთან;  
ახალციხეში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარი-  
შვილთან.

საფლის მასწავლებელთა და დარბით გაზეიტი დავითმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ს ე თ ა დ .

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილე-  
ბის სახლებში და ყვარალაში რედაქტორის საკუთარ  
სახლებში.

ზარემ მკვარცხთაძის ქუჩის დაბარება შეიძლება თ  
ამ ადრესით: Въ Еврилы, въ редакцію газеты и  
журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-  
ნიც ნახევარ ფასად დაეთმოება მსურველთ.

სპალიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო  
ნახატებიანი გაზეთი

„**კვფლი**“

გამოვა 1900 წელში ყოველ კვირაში ერთხელ  
ერთიდან სამ თანახმადის.

იმავე ზროგრაჰით, როგორც 1899 წ.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან «კვალს»  
მიემატება ახალი განყოფილებები, რისთვისაც  
შეგვა მუდმივ თანამშრომელთა სარედაქციო წრე.

გაზეთი წლიურად ეღირება გაუზუნენლოდ 7 მან.,  
ხოლო გაზეთით 8 მან. ნახევარის წლისა გაუ-  
გზუნენლოდ სამი მან. და ათი შაბრი, გაგზუნენ  
ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუზუნენლოდ ორი მან.,  
გაგზუნენ 2 მან. 50 კ. თითო ნომერი საქალაქათ.  
ხელისმომწერლებს წლით თუელი შეუქლიათ გამოკ-  
ზენონ ნაწილ ნაწილათ.

ხელის მოწერა შეიძლება თბილისში «წერა-კით-  
ხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში»  
(სახალს ქ. სათავე-დან ქ. რე.) და თითო «კვა-  
ლის» რედაქციაში—ართილერი ქ. № 5, კ დეცის  
კორპუს ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“

შ ი ნ ა ა რ ს ი :

**სალიტერატურო განმცხვრელება:** საზოგადოების  
ერთგულდობით და ერთსულდობით საქმის ხელის მოკიდება  
ყველა დაბრკოლებას დასძლევს და საქმეს დაავივრგინებს.  
დეკ. დ. ღამბაშიძისა.—ა დაზმარება საჭირო ციმბირსკენ  
გადახვეწილ ქართველთათვის? ე. შალამბერიძისა.—სამრველო  
სკოლების მასწ. მდგომარება, ბ. ვაშისა—წერილი რე-  
დაქციისადმი (ციმბირში გადახვეწილისაგან)—ზვიგერი თურ-  
ნალ-გაზეთების უაზრო მოხსენებანი.—ახარა ცილის-წაშება.  
—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სუბჰლა და მცენიერება ქრისტიანობაში სარწმუნო-**  
და კითხილ-წამოგაზეთი: სიტყვა ზაქეს კვირიაკესა ზედა,  
თქმული კალაუზნის ეკლესიაში, ეპისკოპოსის ლეონიდის  
მიერ.—კატეხიზური საუბარი 2-რე სიმდაბლზე.

**საპირო და სხარამგლო ცნობათა განყოფილება:**  
მღვდელთა მსახურების წეს რაჟი მღვდელ-მთავრის წირვაში  
და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდლო და საეკლესიო მოსამ-  
სახურეთათვის, რუს. თარგ. ი. დანცხავას მიერ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.  
Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 февраля 1900 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елиевъ  
Типог. редакція журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хапановыхъ, на Нѣмецкой ул.